პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
სამშაბათი
13 ნოემბერი
№ 260 (17605)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სწრაფად, მკვიდრად, ეკონომიურად!

ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე მეტს აშენებს. იგი კაპიტალური მშენებლობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უდიდეს სახსრებს გამოყოფს. ამიტომ საჭიროა ყაირათიანად ვხარჯოთ თითოეული მანეთი, მივიღოთ სწრაფი უკუგება. ამ მიზნის მიღწევის გზაა სამძლავრეთა ამოქმედების დაჩქარება, ახლად დაწყებული მშენებლობებისა და დაუმთავრებელი ობიექტების რიცხვის შემცირება.

„ვაშენოთ სწრაფად, ეკონომიურად და თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე — აი კაპიტალური მშენებლობის მაღალი ეფექტიანობის საფუძველი“ — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის XXV ყრილობისადმი საანგარიშო მოხსენებაში.

წლეულს ჩვენს რესპუბლიკაში ასათვისებელია მილიარდ 370 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალდაბანდება. აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება 807 მილიონ მანეთს აღემატება, ხოლო ასამოქმედებელი ძირითადი ფონდებისა კი — თითქმის მილიარდ 419 მილიონ მანეთს. ამ პროგრამის ძირითადი ნაწილის შესრულება მეოთხე კვარტალზე მოდის. წლის ბოლომდე უნდა ამოქმედდეს ენგურის № 4 აგრეგატი, რუსთავის ქიმიური ქარხნის სამი ახალი სამძლავრე, ჭიათურის ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკა, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საავტოგადასასვლელი კორპუსი, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტი, როგორიც არის 18 ათასი ჰექტარისათვის გათვალისწინებული სარწყავი სისტემა, ღვინის პირველადი გადამუშავების ქარხნები, ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოების სამრეწველო სიმძლავრეები, ხაშურ-თბილისის მონაკვეთზე რკინიგზის რვაკილომეტრიანი მეორე ხაზის გაყვანა და მრავალი სხვა.

როგორც ვხედავთ, ჩვენს მშენებლებს წლის დარჩენილ პერიოდში დიდი და საპატიო ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი.

„ჩვენ ხშირად და სამართლიანად ვაკრიტიკებთ მშენებლებს. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ მათი უდიდესი წვლილი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ზრდაში“, თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის შარშანდელ ნოემბრის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა.

სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულებაში ერთგვარი ჩამორჩენის მიუხედავად ჩვენმა მშენებლებმა მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში შეძლეს ამოქმედებინათ 644 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც 123 მილიონი მანეთით, ანუ 24 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

მეათე ხუთწლედის განვლილი დრო მოწმობს, რომ კაპიტალურ მშენებლობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი დიდი ხარვეზები, ფერხდება ასამოშავებელი ობიექტების ხაელესპლოატაციოდ გადაცემა, შეიმჩნევა მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების დაქსაქსვის ფაქტები, იზრდება დაუმთავრებელი წარმოება.

იმის გამო, რომ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ზრდის ტემპმა გაუსწრო ძირითადი ფონდების ამოქმედების ზრდის ტემპს, დაუმთავრებელ მშენებლობათა მოცულობა მარტო განვლილ 10 თვეში 370 მილიონი მანეთით გაიზარდა. ეს კი არღვევს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმაზომიერებას.

კაპიტალურ დაბანდებათა ათი თვის გეგმების შესრულებაში სერიოზული გარღვევა აქვთ ცხინვალის, ბათუმისა და საჩხერის მეფრინველეობის ფერმების, ქუთაისის მაცივრის, საკონსერვო და პარფიუმერიის, მინის ტარის ქარხნების, კაჩრეთის რკინაბეტონის ქარხნის, ფოთის სახლთსაშენებელი კომბინატისა და სხვა ასამოქმედებელი ობიექტების მშენებლებს.

მეათე ხუთწლედის განვლილი პერიოდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ერთგვარი დიდი ძვრების მიუხედავად, მაინც ვერ მივაღწიეთ, რომ სტაბილურად სრულდებოდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები, ჯერ კიდევ დაბალია მათი მოცულობის ზრდის ტემპი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშენებელთა წარმატებულ მუშაობაში დიდ როლს ასრულებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემა. ხშირია ფაქტები, როცა ირღვევა საგეგმო-სახელმწიფო დისციპლინა ნედლეულის, მასალებისა და მოწყობილობის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულებაში. ამასთან მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესდეს სამშენებლო მასალებისა და რესურსების ხარჯვას. გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ ისეთ მავნე პრაქტიკას, როდესაც რაიონების ხელმძღვანელები, ავლენენ რა „ყურადღებას“, ზოგჯერ ასამოქმედებელი ობიექტებისათვის განკუთვნილი რესურსების ხარჯზე იწყებენ ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობას და ამით პრაქტიკულად უგულებელყოფენ საერთო-რესპუბლიკური ინტერესებს.

როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე კაპიტალური მშენებლობა სრულიად სამართლიანად უპირველეს პარტიულ საქმედ გამოცხადდა.

პარტიული ორგანოები აქტიურად ჩაებნენ მშენებლობის სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლაში. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებზე. ისინი ჯერჯერობით პასიური მაყურებლის როლს ინარჩუნებენ, მხოლოდ ზერელე ხელმძღვანელობას ხჭერდებიან, თითოეულ ობიექტზე საფუძვლიანად არ ერკვევიან, როგორ მიდის საქმე. თავიანთ სხდომებზე პრინციპულობით არ იხილავენ, ვინ ხელმძღვანელობს ჩამორჩენილ სამშენებლო ობიექტებს. ახეთებს მკაცრი პასუხი უნდა მოვთხოვოთ.

სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი გამოყენება თანამედროვე სამრეწველო საწარმოებისა და კვანძების, ქალაქებისა და დასახლებების ბევრად არის დამოკიდებული საარეოტატო ინსტიტუტების, მოწყობილობის დამამზადებელი ქარხნების გამართულ მუშაობაზე. სამწუხაროდ, სწორედ ამ რგოლებში ჯერ კიდევ არის შეფერხებები, ირღვევა, ხელშეკრულებები და გრაფიკები. დამპროექტებლები ხშირად არ იძლევიან დოკუმენტაციას მთლიანად, მათში ზოგჯერ არის შეცდომები. საპროექტო და საძებარო ორგანიზაციათა გადაუდებელი ამოცანაა დღენიადაგ უწევდნენ კონტროლს დაროექტებისა და მშენებლობის ხარისხს, ურომლისოდაც შემდგომ გაძნელდება მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების დანერგვა მშენებლობაში. ამასთან შენობათა ესთეტიკური იერსახის გაუჯობესება და მშენებლობის გაიაფება ყველა იმ ორგანიზაციის მუშაობის ქვაკუთხედი უნდა გახდეს, რომლებიც კაპიტალურ მშენებლობას ეწევიან.

დღეს მშენებლობის საქმის მდგომარეობას გამოსწორება სჭირდება. ამიტომ სამინისტროებისა და უწყებების ვალია უზრუნველყონ სამშენებლო კონვეიერის შეუფერხებელი მუშაობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „დაგეგმვის გაუჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ აღნიშნულია, რომ საჭიროა უფრო სრულად დავუკავშიროთ სამშენებლო ორგანიზაციათა გეგმები მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა და შესაძლებლობებს, სრულყოთ მართვის სისტემა და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო საქმე, განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოლექტივების შრომის სწორ ეკონომიკურ შეფასებას. ახალ პირობებში სამშენებლო ორგანიზაციებისა და სამინისტროების საქმიანობა დაიგეგმება და შეფასდება არა ათვისებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის, არამედ ობიექტების ამოქმედებისა და სასაქონლო პროდუქციის მიხედვით. ამიტომ მომავალი წლისა და მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების შედგენისას საჭიროა ვიხელმძღვანელოთ აღნიშნული დადგენილებით, მივაღწიოთ დავალებათა შეწონასწორებას მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობებთან.

ერთ წელზე ცოტა მეტი დარჩა მეათე ხუთწლედის დამლევამდე. მშენებელთა საპატიო ვალია წარმატებით შეასრულონ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მიერ მიღებული გეგმები, კარგად მოემზადონ ახალ პირობებში მუშაობისათვის.

სწორედ კარგად ორგანიზებული სოციალისტური შეჯიბრება მისცემს შესაძლებლობას სამშენებლო ორგანიზაციათა კოლექტივებს წარმატებით გაართვან თავი მიმდინარე წლის დასახულ ამოცანებს და საქმით უპასუხონ ჩვენი პარტიის მოწოდებას.

საქმეთა გამოაჩინა

შრომის ავანგარდში

ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივმა ათი თვის დავალება გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით შეასრულა. საექსპლოატაციოდ გეგმის გადამეტებით ასობით მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადაეცა.

მიმდინარე წელს მარტო ქუთაისში მწყობრში ჩადგა ჩვიდმეტი საცხოვრებელი კორპუსი. ამ კომბინატმა არაერთხელ გამამარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

შრომის ავანგარდშია კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ვარცელტი აბზიანიძე ხელმძღვანელობს. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და საპატიო ნიშნით. ზლობინელთა ეს ბრიგადა გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით შრომობს.



სურათებზე: ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის მშენებელთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ვარცელტი აბზიანიძე; ეს მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის კოლექტივმა ააშენა. ამ სახლებს ორიგინალური აივნები და ლოჯიები ამშვენებს.

ბ. ბერსამიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფლის ფინიშზე

ქარხანას სჭირდება კადრები

მალე რუსთავის ქიმიურ ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა მინერალური სასუქების ახალი სამძლავრეები. მათი ამოქმედება ბევრად გაადიდებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი პროდუქციის გამოშვებას. მაგრამ ქარხანას სჭირდება კადრები. როგორც არაერთხელ აღინიშნა, საწარმოს შეუძლია სამუშაოზე ახლად მიღებულთ შესთავაზოს კარგად მოწყობილი საერთო საცხოვრებელი, იგი გამუდმებით ზრუნავს მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. შემუშავებული და დამტკიცებულია რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან ქარხანაში მუშების გაგზავნის გეგმა. მაგრამ ყველა ადგილობრივი, პარტიული, საბჭოთა ორგანო როდი იჩენს საჭირო მონდომებას ამ გეგმის განხორციელებისათვის.

სულ მიმდინარე წელს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს რუსთავის ქიმიური ქარხნის ახალ ობიექტებზე უნდა გაეგზავნათ 170 მუშა — ზენინკალი და ელექტროზენინკალი, მაგრამ ჯერ გაგზავნილია მხოლოდ 80.

11 ნოემბრისათვის რუსთავში სამუშაოდ არც ერთი კაცი არ ჰყავდათ გაგზავნილი **ახალქალაქის, ბოგდანოვკის ბოლნისის, თელავის, საგარეჯოს, გურჯაანის, ცხინვალის** და სხვა რაიონებს, ქალაქებს **სოხუმს, გორს და ჭიათურას.**

რუსთავში მინერალური სასუქების საწარმოო ახალი სიმძლავრეების კადრებით უზრუნველყოფის გეგმას ვერ ასრულებენ ქალაქები **ქუთაისი, ცხინვალი, ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ჭიათურა, აგრეთვე სამტრედიის, ორჯონიკიძის, ხაშურის, გარდაბნის, კასპის, მახარაძის, გორის, ბორჯომის, ზუგდიდის, მარნეულის, მცხეთის** რაიონები.

დრო არ ითმენს! რესპუბლიკის ყველა პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციის მოვალეობაა ქარხანას რაც შეიძლება ოპერატიული დახმარება გაუწიონ მისი კოლექტივის კვალიფიციური კადრებით შევსებასა და მიმდინარე წლის გეგმის წარმატებით შესრულებაში.

სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა X ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ და გულითადად მოგესალმებიან თქვენ, ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა X ყრილობის დელეგატებს და თქვენი სახით სამომხმარებლო საზოგადოებათა ყველა წევრს და კოოპერაციულ ორგანიზაციათა ყველა მუშაკს.

ლენინის ანდერძის ერთგული სამომხმარებლო კოოპერაცია საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში. ამჟამად სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც აერთიანებს ათეულ მილიონობით კოლმეურნეს, მუშას, სოფლის ინტელიგენციას, ხელს უწყობს სოფლად სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებას, წარმატებით ავითარებს და სრულყოფს თავის სამეურნეო და საზოგადოებრივ საქმიანობას, უზრუნველყოფს საცალო საქონელბრუნვის განუწყვეტელ ზრდას, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის გადიდებას, საქვეუწყებო საწარმოებში სამომხმარებლო საქონლის წარმოების გაფართოებას.

საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაცია აქტიურად მონაწილეობს ლენინური სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებაში, თანამიმდევრულად იღვწის მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის, თანამშრომლობისა და საქმიანი ურთიერთობის გაფართოებისათვის ბრძოლაში საზღვარგარეთის ქვეყნების პროგრესული კოოპერაციული ორგანიზაციების ერთიანობის განსამტკიცებლად.

თანამედროვე ეტაპზე სამომხმარებლო კოოპერაციის მთავარი ამოცანაა თანამიმდევრულად განახორციელოს სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მითითებანი საბჭოთა ადამიანების მომსახურების გაუმჯობესების შესახებ.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები მოწოდებული არიან ყოველნაირად განავითარონ ვაჭრობა სოფლად, აამაღლონ მისი კულტურა, გააფართოონ თანამედროვე მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების ქსელი, მტკიცედ დანერგონ მომსახურების პროგრესული ფორმები, მეტად ფრუნონ სრული მომსახურების მზარდი მოთხოვნილებანი დამყოფელებისათვის. ამათი აზრია განამტკიცონ სამეურნეო ურთიერთობა მრეწველობასთან, იბრძოლონ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

კოოპერატორთა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს დამამზადებელი და საწარმოო საქმიანობის შემდგომი განვითარება. საჭიროა უფრო სრულად გამოიყენონ ადგილობრივი სანედლეულო და სასურსათო რესურსები, გაადიდონ კოოპერაციულ საწარმოებში მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის გამოშვება, გააფართოონ პირუტყვისა და ფრინველის სუქება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა, გააუმჯობესონ ველური ხილის, კენკრის, სოკოს, სამკურნალწყობლო მცენარეების დამზადება.

კოოპერატორთა ვალია განუწყვეტლივ სრულყოფდნენ კოოპერაციული მეურნეობის მართვას, მტკიცედ იბრძოდნენ, რათა გაძლიერდეს სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედება სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა რგოლის მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაზე, უფრთხილდებოდნენ და ამრავლებდნენ სოციალისტურ საკუთრებას, გადაჭრით ალმოფხვრიდნენ უყაირათობას, სხვადასხვაგვარ დანაკარგებს.

საჭიროა ყოველნაირად განვამტკიცოთ კოოპერაციული დემოკრატია, უზრუნველვყოთ კოოპერატივების საქმეებში, სავაჭრო, დამამზადებელი და სამრეწველო საწარმოების მუშაობისადმი კონტროლის განხორციელებაში მეპაიეთა უფრო აქტიური მონაწილეობა, გავაფართოოთ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სხვა საწარმოებთან სამომხმარებლო საზოგადოებებისა და კავშირების ურთიერთობა სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ყრილობის დელეგატებს ნაყოფიერ მუშაობას უსურვებენ და მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები კვლავაც ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ მაღალ მოვალეობას — გააუმჯობესებენ საბჭოთა ადამიანების მომსახურებას და ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სახალხო-სამეურნეო ავიაციის პილოტებსა და შტურმანებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, მუშებსა და მოსამსახურეებს, ყველა მუშაკს

ძვირფასო ამხანაგებო!

მხურვალედ გილოცავთ დიდ შრომითს გამარჯვებას — სახალხო მეურნეობაში ავიაციის გამოყენების მეათე ხუთწლედის ოთხი წლის საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებას.

სამოქალაქო ავიაცია სულ უფრო მეტ როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მიღწეული წარმატებანი იმის შედეგია, რომ თავდადებით შრომობენ ავიამუშაკები, დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას ეწევიან პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, ხელმძღვანელი კადრები, ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც კომუნისტური მშენებლობის დიდი ძალაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო ავიაცია სოფლის მეურნეობის კომპლექსური განვითარების დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი ხდება და დიდ როლს ასრულებს მოსავლიანობის ზრდისათვის ბრძოლაში.

ხუთწლედის განვლილ პერიოდში საავიაციო-ქიმიური სამუშაოები საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში შესრულდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 350 მილიონ ჰექტარ მინდვრებზე. მარტო მიმდინარე წელს ავიაციამ დაამუშავა 90 მილიონ ჰექტარზე მეტი ნათესები, აქედან 18,5 მილიონი — ყაზახეთში. მნიშვნელოვანია ავიატორთა წვლილი მარცვლეულის, ბამბის წარმოებაში, ყოველწლიურად იზრდება ავიაციის გამოყენება ბრინჯის მოყვანის საქმეში.

ასზე მეტი სახეობის სამუშაოებს ახრულებს ავიაცია ჩვენს ხახალხო მეურნეობის დარგებში. დიდია მისი მნიშვნელობა ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ძნელად მისადგომი რაიონების ბუნებრივი რესურსების დაზვერვასა და ექსპლოატაციაში, არქტიკისა და ანტარქტიდის ათვისებაში. თვითმფრინავებსა და ვერტმფრინავებს წარმატებით იყენებენ გაზსადენებისა და ნავთობსადენების გაყვანისას, ბაიკალ-ამურის მაგისტრალის და დიდი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობაზე, ქვეყნის ტერიტორიის კარტოგრაფირებაში, აქტიურად გამოიყენება ავიაცია ტყის სიმდიდრეთა დაცვაში. მტკიცდება სახალხო-სამეურნეო ავიაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იზრდება საავიაციო ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სამოქალაქო ავიაციის მუშაკები კვლავაც შეუპოვრად იბრძოლებენ, რათა უფრო ფართოდ და ეფექტიანად გამოიყენონ ავიაცია სახალხო მეურნეობაში, უზრუნველყონ უსაფრთხო და რეგულარული ფრენა, აითვისონ ახალი საავიაციო ტექნიკა, ვადამდე შეასრულონ მეათე ხუთწლედის საგეგმო დავალებანი, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საქმეში.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობას და ახალ შრომითს წარმატებებს.

ლ. ბრეჟნევი.

კოოპერატორთა მაღალი მოვალეობა

მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, 12 ნოემბერს გაიხსნა სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა X ყრილობა. ამ საზოგადოებრივ და სამეურნეო ორგანიზაციას, რომელიც 60 მილიონზე მეტ მეპაიეს აერთიანებს, ყრილობაზე წარმოადგენდა 1600-ზე მეტი დელეგატი.

ყრილობის დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ აბზიანაგებს ა. ჰ. კირილენკოს, ი. ვ. კაპიტონოვს, მ. ს. გორბაჩოვს. პრეზიდიუმში არიან აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. თ. სიზოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ტ. ი. კისელიოვი, ზ. ნ. ნურიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, სსრ კავშირის მინისტრები, სამომხმარებლო კოოპერაციისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი.

ყრილობის მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

კრების მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა X ყრილობისადმი. მისალმების ტექსტი წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

ცენტროსოიუზის გამგეობის საანგარიშო მოხსენება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ა. ა. სმირნოვმა. მან, კერძოდ, დამსწრეთ აცნობა, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია მომსახურებას უწევს ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარს, ამზადებს სოფლის მეურნეობის 60-ზე მეტი სახეობის პროდუქტებსა და ნედლეულს. საანგარიშო პერიოდში სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა დარგი წარმატებით ვითარდებოდა.

ყრილობის დელეგატებისა და კოოპერატორთა მთავალმლიონიანი რაზმის სახელით მომხსენებელმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, საბჭოთა მთავრობას, რომ სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაცია კვლავაც პარტიისა და სახელმწიფოს აქტიური თანაშემწე იქნება.

საანგარიშო მოხსენება ცენტროსოიუზის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ ვ. ა. გუდინმა.

შემდეგ დაიწყო მოხსენების განხილვა.

საბჭოთა კოოპერატორების ყრილობას მიესალმა საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის პრეზიდენტი როე კერინეკი.

ყრილობას ბევრი მისალმება მოუვიდა საზღვარგარეთის კოოპერაციული ორგანიზაციებისაგან.

13 ნოემბერს ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საკადესი).

მილიციის დღის აღსანიშნავად

თბილისი ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა საბჭოთა მილიციის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობის, თბილისის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

საღამო გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. დ. გაბუნიამ.

დამსწრეებმა საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საბჭოთა მილიციის 62-ე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა გ. ი. გვეტაძემ.

საღამოს დაესწრნენ ამხანაგები პ. ვ. გილაშვილი, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ო. ე. ჩერქეზია. (საქინფორმი).

შენთვის, პარტიავ! შენთვის, სამშობლოვ!

საქართველოს ახალგაზრდობის გადაძახილი

ასეთია საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილს დევიზი, რომელიც რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებში დაიწყო ლენინის ორდენით საქართველოს კომკავშირის დაჯილდოების პასუხად. გადაძახილმა, რომელმაც სტარტი აიღო ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისათვის მზადების პერიოდში, ლოგიკურად გააგრძელა ლენინური კომკავშირის სამოცი წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკის ახალგაზრდა თაობის გადაძახილი „მზარი ვუსწოროთ კომუნისტებს“.

გადაძახილმა „შენთვის, პარტიავ! შენთვის, სამშობლოვ!“ — ნათლად დაადასტურა რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების მხურვალე მისწრაფება „კონკრეტული წვლილი შეიტანონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ შეჯიბრებაში იმისათვის, რომ მოიპოვონ უფლება სურათი გადაიღონ ვ. ი. ლენინის სამშობლოში, ულიანოვსკში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო წითელ დროშასთან, რომელიც კომკავშირს მე-60 წლისთავთან დაკავშირებით გადაეცა.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს უთხრეს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში შექმნილია გადაძახილის საორგანიზაციო კომიტეტი და მისი მომწყობი შტაბი. ანალოგიური შტაბები ამჟამად იქმნება ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომკავშირულ ორგანიზაციაში.

გადაძახილის დროს კიდევ უფრო გავრცელდება ახალგაზრდა მშრომელთა პატრიოტული ინიციატივები. მაგალითად, თბილისის კომკავშირული ორგანიზაციები იმ ინიციატივების გავრცელების სამაზო ორგანიზაციები გახდება, რომელთა მიზანია სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გავრცელება კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივებში, კომკავშირელებსა და ახალგაზრდების დარაზმვა მეათე ხუთწლედის დავალებათა უფრო შესრულებისათვის.

გადაძახილი ოთხ ეტაპად მოეწყობა რესპუბლიკის ყველა კომკავშირულ ორგანიზაციაში. პირველი ეტაპი — „რესპუბლიკის — ახალგაზრდების დამკვრელური შრომის, ძიების, შემოქმედებითი ინიციატივის, ფრიადზე სწავლის გარანტია“ — მოეწყობა მომავალი წლის თებერვლამდე საბჭოთა საქართველოს 59 წლისთავის აღსანიშნავად. მეორე — „ბელადის იუბილეს — ჩვენი სახელოვანი საქმეები“ — თებერვლიდან აპრილამდე, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავად, მესამე — „ლენინური კომკავშირის იუბილეს — დამკვრელური შრომა, ენთუზიაზმი, შემოქმედება!“ — აპრილიდან ოქტომბრამდე სრულიად საკავშირო ალკკ 62-ე წლისთავის აღსანიშნავად, და ბოლოს, მეოთხე — „რესპუბლიკას — ჩვენი კომკავშირული პატაკი!“ მოეწყობა 1980 წლის ოქტომბრიდან 1981 წლის თებერვლამდე საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის აღსანიშნავად.

ბოლო ეტაპის დროს რესპუბლიკაში იმოგზაურებს ესტაფეტა-ალობმი, რომელშიც აისახება საქართველოს კომკავშირისა და ახალგაზრდობის პატაკი სახელოვანი შრომითი საქმეებისა და მიღწევების შესახებ.

(საქინფორმი).

დისციპლინა უპირველესი რეგვერვია

თვით გამოთქმა — წესრიგი ყველგან და ყველაფერში — იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი საზოგადოება იბრძვის სანიმუშო წესრიგისათვის ცხოვრების არა ერთ რომელიმე უბანზე, არამედ ყველა სფეროში.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის XXXVII კონფერენციაზე ითქვა: „თბილისი რომ სანიმუშო კომუნისტური ქალაქი ხდებეს, იგი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ქალაქი უნდა იყოს“.

ჩვენი ქარხანა ჩამორჩენილ საწარმოთა შორის არ ითვლება. პირიქით — შრომითი გამარჯვება უკეთ ხელი არ იყო ჩვენთვის. ბევრჯერ მოვიპოვეთ საკავშირო თუ რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა. 1965 წლიდან ჩვენი ქარხანა კომუნისტური შრომის საწარმოა. მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში იყო, შარშანდლამდე; უფრო ზუსტად — ქარხნის მორიგ რეკონსტრუქციამდე, რომელსაც ერთობ მოუმზადებელი შევხვდით. ჯერ იყო და, ბოთლის საყალიბო მანქანებმა გვიმტყუნა, ამას სხვა ობიექტური თუ სუბიექტური პირობებიც დაერთო ზედ და საწარმომ ნელ-ნელა დათმო მოწინავე პოზიციები.

ქარხნის ადმინისტრაციის, მისი პარტიული კომიტეტის წინაშე მეტად რთული ამოცანა დაისახა — არათუ სასწრაფოდ გამოსწორებულიყო ჩავარდნა, არამედ ამას მოჰყოლოდა ახალი წარმატებები. პარტიულმა კრებამ განიხილა ეს საკითხი და დასახა კიდეკაც გზები საქმის უსწრაფესი გამოსწორებისათვის. ჩვენმა კომუნისტებმა დარაზმეს მთელი კოლექტივი. უპირველესად საჭირო იყო იმ ადამიანების გადაკეთება, რომლებიც მომწოდებელმა ორგანიზაციამ უხარისხოდ გააკეთა.

ჩამორჩენა დავძლიეთ და მომავალ წარმატებებსაც ჩავუყარეთ საფუძველი. ამ სამუშაოებში „განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი უბნებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ კომუნისტები ვ. ჩხაიძე, ვ. ფავლენიშვილი, ნ. შენგელია, გ. გახოკია და სხვები. წელს პირველი ორი კვარტალის გეგმები წარმატებით შეგასრულეთ.

ჩვენი ციფრობრივი მაჩვენებლები საწარმოს და მისი კოლექტივის შესაძლებლობების ზღვარი არ არის. შედეგები გაცილებით უკეთესი გვექნებოდა, ჩვენთან მტკიცე საწარმოო დისციპლინა რომ იყოს. პარტორგანიზაციის კომუნისტებმა „კომკავშრომული პროექტორის“ შტაბთან ერთად მოვაწყვეთ რეიდები. აღმოჩნდა, რომ არცთუ იშვიათია სამუშაო დღის უმიზეზოდ გაცდენა, ალკოფერს ვამბობ დაგვიანებაზე, რაც თითქმის ნორმად არის ქცეული და, სხვათა შორის, არა მარტო ჩვენთან.

ლოთობა, ალკოჰოლიზმი ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მავნე და საშიში მტერია. ქარხანაში შექმნილი გვაქვს ალკოჰოლიზმის და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია, რომელიც ბევრს მუშაობს ცალკეულ შემჩნეულ პიროვნებებთან. მაგალითად, ყველა ხედავდა, რომ ნიკოლოზ რიაბოვი ძალიან ხშირად სვამდა, რის გამო აცდენდა სამუშაოს. საუბრებმა, სიტყვიერმა გაფრთხილებებმა არ გაჭრა. შემდეგ მის საკითხზე იმსჯელა საამქრო პარტორგანიზაციის კრებამ და ბოლოს ამხანაგურმა სასამართლომ. ნ. რიაბოვს მიეცა უკანასკნელი გაფრთხილება.

კომისიის კარგ მუშაობაზე მეტყველებს ალბათ ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გამოსაფხიზლებელში არ მოხვედრილა ჩვენი ქარხნის არც ერთი მუშაკი.

მაგრამ მარტო კომისია და ახლა-განმარტებები საქმეს ვერ შველის. მთავარია ცოცხალი მაგალითი. დამრიგებლობის დიდი ძალა ჩვენ საკუთარი პრაქტიკით გამოვცადეთ. ელექტროსაამქროს ოსტატი, ამჟამად პენსიონერი, შრომის ვეტერანი დ. შაყულაშვილი, გარდა იმისა, რომ თავის საქმის ჩინებული ოსტატია, ხალისით უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას ახალგაზრდებს. მისი ყოფილი მოწაფე ელექტრომონტიორი ვ. ბუხარიტიანი დღეს იმავე საამქროს უფროსია. ეს საამქრო კი ერთ-ერთი მოწინავეა ქარხანაში.

თავის მხრივ, ვ. ბუხარიტიანმა თავისი მასწავლებლისაგან არა მარტო ოსტატობა და საქმის სიყვარული ისწავლა, არამედ ახალგაზრდებისადმი დამოკიდებულებაც — იგი სამ ახალგაზრდას დამრიგებლობს. ჩვენ ბევრი გვყავს ისეთი მუშაკი, რომლებსაც ახალგაზრდობამ შეიძლება თამამად მიბაძოს. მაგალითად, ა. სოსენკოვი, გ. მერაბიშვილი, გ. გოგიჯანაშვილი და სხვები.

ამ დღეებში გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეჩვიდმეტე პლენუმმა ერთხელ კიდევ გაამახვილა პარტიული ორგანიზაციების ყურადღება ადამიანებისადმი, ყველა რგოლის კადრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების, მათი შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხებზე. პლენუმის რეკომენდაციები მთელი ჩვენი მომავალი მუშაობის საუკეთესო სახელმძღვანელოა იქნება.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, თუ როგორი მიკროკლიმატი აქვს ამა თუ იმ მუშაკს ყველაზე სანუკვარ ადგილას — ოჯახში, როგორი პირობებია ჯანსაღი მომავალი თაობის აღსაზრდელად. იმათ კი, ვინც სამაგალითო შვილებს ზრდის, მთელ კოლექტივს ვაცნობთ ხოლმე. ესენი არიან ნ. შენგელია, გ. ჯიოევი, ი. კერესელიძე, თ. მიმინოშვილი, ნ. ჩერნება და სხვები.

ჩვენთვის მტკივნეული საკითხია, რომ ყოველთვის ვერ ვუქმნით მუშაკებს ისეთ პირობებს, როგორიც საჭიროა. ამიტომ დენადობის პრობლემა ფაქტობრივად გადაუჭრელია. საქმე ის არის, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შორის უმჭიდროესი კავშირია. ერთ რომელიმე უბანზე საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულება ხელს უშლის მეორეგან ნორმალურ მუშაობას. მაგალითად, ჩვენი საქმიანობის ავ-კარგი ბევრად არის დამოკიდებული ქალაქის ტრანსპორტის გამართულ მუშაობაზე. ჩვენი საწარმო უწყვეტი ციკლით მუშაობს. დამის 12 საათზე მთავრდება ერთ-ერთი ცვლა, მუშა-მოსამსახურეები ზმირად ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში არიან წასასვლელები (ჩვენი ავტობუსი ძველია და ზმირად გამოდის მწყობრიდან). საღამა ნახავთ ამ დროს ქუჩაში ტრანსპორტს. სამაგრეტო ტაქსები ხომ (№11, 12) საღამოს საათებში სანთლით საძებარია ქალაქში. წარმოიდგინეთ შუალამისას იძულებითი გასეირნება ავჭალიდან „თემქის“ დასახლებამდე ან ვლდანის მასივამდე, განსაკუთრებით ქალებისათვის.

მუშათა დენადობას ჩვენთან ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1974 წლის შემდეგ არც ერთი მუშაკისათვის არ გაგვიუმჯობესებია საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები. ათი წლის წინათ ნაკვეთი შეარჩიეს ჩვენთვის ასაშენებელი ბინისათვის, პროექტიც დამზადდა, გარკვეული თანხაც გამოიყო, შემდეგ 1976-1977 წლებში საწარმომ 60 ათასი მანეთი გადარიცხა წყლობრივი მშენებლობისათვის, მაგრამ ბინის აშენებას მაინც არ დაგდა საშველი. ეს საკითხი აღვიძარით საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის, აგრეთვე საქართველოს მინერალური წყლების სამმართველოს წინაშე. ვფიქრობთ, რომ საქმე ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება.

როდესაც თბილისის XXXVII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე ითქვა, რომ ჩვენი ქალაქი ბაღნარად უნდა გადაიქცეს ოდესმის ქენჯნა ვიგრძენით — ჩვენი ქარხნის კაზმის საამქრო ერთ-ერთ გამეუფყიანებლად ითვლება. საამქროს მორალურად და ფიზიკურად მძიმეულებული დანადგარები კარგა ხანია აღარ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. შემადგენელი ნედლი მასალების დამზადებისას დანადგარები ვეღარ იკავებენ მტვერს და იგი ჰაერში ფფრქვევა. სკოდისა და სხვა ნედლი მასალების დამუშავების დროს გამოყოფილი მტვერი აზიანებს საწარმოს ახლომახლო ხეებს. ეს საკითხი დავაყენეთ შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე. საჭიროა საამქროს რეკონსტრუქცია და რაც შეიძლება მალე.

ჩვენი ქარხნის კომუნისტები, მთელი საწარმოს მუშა-მოსამსახურეები კარგად ვხედავთ, თუ რა დიდი ბრძოლა მოგვიწევს დასახულის შესასრულებლად. ამასთან გვჯერა და გვწამს, რომ ეს ბრძოლა დროული და აუცილებელია.

ნ. ადეიშვილი,
თბილისის ლენინის სახელობის შუშის ქარხნის პარტიული მდივანი.

დაჯილდოება

სახელმწიფოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

დაბადების ორდენი ... [illegible] ... ორგანოებში — მუშაობის ... [illegible] ... ბოლოს ... [illegible] ... ბა ... [illegible] ... ბა ... [illegible] ... ბა

ძმობის მტკიცე ხიდი

საფუძველი ჩაეყარა თერჯოლა-ატბასარის მეგობრობას

თერჯოლა-ატბასარი. ამ მისამართს დასაბამი ლ. ი. ბრეჟნევის „ყამირმა“ მისცა. ეს ორის შრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდილ უფროსი დოკუმენტი, შრომითი მამაცობისა და გმირობის მატიანე, რომელშიც ეცნობით საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის, დიდ სიძნელეებთან შერკინების, უკაცრიელ ტრამალებში სიცოცხლის დამკვიდრების შთამბეჭდავ ამბავს. „ყამირის“ გამოცდილება ხომ მუდამ გვეხმარება ახალ სიძნელეთა დაძლევაში.

და როცა პარტიის თერჯოლის რაიკომთან შექმნილ სოფლის მეურნეობის მართვის, რეზერვების ძებნისა და ამოქმედების შესწავლის და გამოცდილების გაზიარების სკოლის მსმენელებმა გულდასმით შეისწავლეს ლ. ი. ბრეჟნევის აღნიშნული ნაშრომი, დაებადათ იდეა „ყამირის“ ნაკვალევზე იმგზაურათ და ადგილზე გაცნობოდნენ ყაზახეთის რესპუბლიკის ცელინოგრადის ოლქის ატბასარის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელობისა და მართვის პრაქტიკას, გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება, რაც დიდად შეუწყობდა ხელს ორივე მხარის წინაშე მდგომი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, შშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის გაუმჯობესებას.

ეს იდეა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საქართველოს და ყაზახეთის კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, შედგა მოგზაურობის მარშრუტი, გეგმა, დაისახა ამოცანები.

მომდინარე წლის ივლისის ერთ-მზიან დილას რაიონის მშრომელთა დელეგაცია (რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები, ბრიგადირები, პარტიულ და კომკავშრომულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მოწინავე მევენახეები, მეჩაიეები) შორეულ ატბასარისაკენ გაფრინდა.

ალმა-ათის აეროდრომზე მათ დახვდნენ ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები, ქალაქის შშრომელები. მწვანეში ჩაფლული ყაზახეთის დედაქალაქი ღიმილით შეეგება ჩართველ სტუმრებს, მასპინძლებმა გააცნეს მათ ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, მისი წარსული და თანამედროვე მიღწევები.

ალმა-ათიდან დელეგაცია ქ. ცელინოგრადში ჩაფრინდა, სადაც მათ დახვდნენ პარტიის ატბასარის რაიკომის მდივანი ე. ს. ნეტზოლი და ატბასარის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. პ. კლიმენკო. ატბასარის რაიონის საზღვართან სტუმართმოყვარეობის სიმბოლო — პურ-მარილი და ტრადიციული კუმისი მიართვეს ჩართველ სტუმრებს ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ყაზახმა გოგონებმა. რუსულ, ქართულ და ყაზახურ ენებზე დაწერილი ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით საზეიმოდ მორთული შეხვდა ქალაქი თერჯოლელ მეგობრებს.

ღელადნენ დელეგაციის წევრები — ყოფილი ყამირელები: დელეგაციის მეთაური, პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ა. ბურჯანაძე, „საქსახსოფლტექნიკის“ თერჯოლის განყოფილების მმართველი ბ. ვერულაშვილი, ზედა სიმონთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. გვენეტაძე. უკაცრიელ ადგილას, სადაც მეოთხედი საუკუნის წინათ თვითონ ებრძოდნენ ხორშაკ ქარებს, მათ ახლა ბრწყინვალე ნაგებობები იხილეს.

დღეს ატბასარი ნამდვილი თანამედროვე ცხოვრებით ცხოვრობს. ქალაქის ორივე მხარეს აღმართულია მძლავრი ელევატორები, რომლებსაც მილიონობით ფუთი პურის გადამუშავება შეუძლიათ. გამქრალა ძველი ატბასარი — „ცხენების ბაზარი“, ახლა რაიონის 12 საბჭოთა მეურნეობასა და სამ კოლმეურნეობას 2200 ტრაქტორი და 1300 კომბაინი აქვს. დელეგაციის წევრებმა ინტერესით დაათვალიერეს რაიონის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, იყვნენ მეცხოველეობის ფერმაში, ბრიგადებში, საწარმოებში და საქმიანი სხა-ბაასი ჰქონდათ თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე. შემდეგ ესტუმრნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ატბასარის რაიონული ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს რუსულ ენაზე თარგმნილი ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებები.

ატბასარიდან დელეგაცია შრომის წითელი დროშის ორდენოსან „სამარსკის“ საბჭოთა მეურნეობას ეწვია. 25 წლის წინათ გაავლო აქ პირველი ხნული ტრაქტორისტმა ივანე ანდრიას ძე ივანოვმა, ახლა მისი იმდროინდელი ტრაქტორი „ს-80“ საბჭოთა მეურნეობის კულტურის სასახლის წინ დგას კვარცლბეკზე, იავნოი კი გაცილებით უფრო მძლავრ მანქანას მართავს.

მეურნეობაში საზეიმო შეკრებაზე მოვიდნენ მეურნეობათა ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები. კრებაზე, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ატბასარის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. ა. ტიუკენევმა, დიდი აღფრთოვანებით მიიღეს თერჯოლელთა გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაამტკიცეს ნაკისრი ვალდებულებები, აქვე გადაწყდა, რომ ყოველწლიურად მოიწყოს დელეგაციათა გაცვლა. შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესდა პარტიის ატბასარის რაიკომის ყოფილი პირველი მდივნის ჯ. მაკარინის სახელობის პრიზი, რომელსაც გულთბილად იხსენიებს ლ. ი. ბრეჟნევი წიგნში — „ყამირი“.

თერჯოლელებმა საკუთარი თვალით ნახეს წაკითხული და გაგონილი, გაეცნენ იმ წარმატებებს, რომლებიც ამ მხარემ ყამირის ათვისების შემდეგ მოიპოვა.

ცელინოგრადისა და ატბასარის პარტიული ხელმძღვანელები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ თერჯოლელები იყვნენ პირველი მერცხლები, რომლებიც ასეთი საქმიანი კონტაქტის დასამყარებლად ჩამოვიდნენ მათთან, ეს კონტაქტები კი დღითი დღე ძლიერდება და ვითარდება.

წელსვე უმასპინძლეს თერჯოლელებმა ატბასარელ პიონერთა ჯგუფს, რომლებსაც პედაგოგები ირინე ბელინსკაია და ალექსანდრე ლაიპუტი ხელმძღვანელობდნენ, მათ მხიარულად გაატარეს ზაფხულის არდადეგები პიონერთა ქალაქ „სპუტნიკში“, გაეცნენ და დაუმეგობრდნენ ქართველ თანატოლებს. დაათვალიერეს რაიონის ღირსშესანიშნაობები, ისტორიული ძეგლები, დაესწრნენ თერჯოლაში გამართულ მულტიპლიკაციური ფილმების რესპუბლიკურ ფესტივალს, ესაუბრნენ გამოჩენილ ქართველ კინორეჟისორებსა და მსახიობებს.

მათი გაცილებისას მოწყობილ ზეიმზე ატბასარის საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ საოლი მუხამბეტოლეგამ განაცხადა: „არასოდეს არ დავიივიწყებთ სპპონელაში გატარებულ დღეებს, არასოდეს დავიივიწყებთ და არ გავწყვეტთ კავშირს ჩვენს ძეიფრფას ქართველ მასპინძლებთან“.

რაიონის შშრომელთა მოწვევით ოცდახუთმა ატბასარელმა შშრომელმა დაისვენა და ჯანმრთელობა აღიდგინა კურორტ „სიმონეთში“. მათ არ მოჰკლებიათ თერჯოლელთა სითბო და სიყვარული.

სტუმრები გაეცნენ რაიონის მიღწევებს, შეხვდნენ წარჩინებულ ადამიანებს, — იყვნენ მეცხოველეობის ფერმებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, სამრეწველო საწარმოებში.

კმაყოფილნი დაბრუნდნენ ისინი შშრომლიერ ატბასარში.

დიდმა გრძნობამ დაძლია ათიათასობით კილომეტრი და ძმობის მტკიცე ხიდი გადო ატბასარელ და თერჯოლელ შშრომელთა შორის. ამ ხიდზე მყარად და იმედიანად ივლიან მომავალი თაობები.

გ. ხიჯაკაძე,
თერჯოლის რაიონულ გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორი.

ხევსურეთის ფერისცვალება

ხევსურეთი საქართველოს მთის ერთ-ერთი ეგზოტიკური მხარეა. იგი პატიოსანი თვალივით ზის კავკასიონის ცენტრალური ნაწილში. მაღალი მთებით შემოზღუდული ეს მიწა-წყალი საუკუნეობით მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს. ამან, ცხადია, თავისებური დაღი დასვა ხევსურთა ცხოვრებას, ხანგრძლივად შემოინახა ყოფის არქაული ნაშენები.

კავკასიონი ხევსურეთს ორ ნაწილად ჰყოფს: პირაქეთა ხევსურეთის სოფლები არაგვისა და მისი შენაკადების ხეობებში მდებარეობენ, პირიქითა ხევსურები ანუ შატილ-მიღმახეველები მდინარე ასა-არღუნის სათავეში ცხოვრობენ.

მაღალი მთები, ტყის ზოლით დაფარული ფერდობები ებჯინება ალპურ ზონას და ზღაპრულ სილამაზეს ქმნის. ხევსურები ვაჟკაცები და გულადები არიან. მათ მრავალი სახელოვანი ფეოდალური ჩაწერეს შემოსეულ მტრებთან ბრძოლის ისტორიაში. ამას მოწმობს ისტორიული წყაროები, ხევსურული ხალხური თქმულებები, ლეგენდები, ბალადები.

რთულმა გეოგრაფიულმა პირობებმა, არსებულმა პოლიტიკურმა წყობამ ხევსურეთი ეკონომიკურად ჩამორჩენილ მხარედ აქცია. ტყუილად როდი უწოდა მას ვაჟა-ფშაველამ „ღვთისა და ადამიანის“ მიავიწყებული ქვეყანა.

ხევსურეთში ადამიანური ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან იწყება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ თავიდანვე გაბედული ნაბიჯები გადადგეს ხევსური მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე. ოცდაათიან წლებში გაიჭრა ჟინვალ-ბარისახოს საავტომობილო გზა, გაიხსნა ბარისახოს სკოლა-ინტერნატი, საექიმო პუნქტები, სკოლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, აღმოიფხვრა უწიგნურობა.

ამიტომ ორმოცდაათიანი წლებიდან მიგრაცია ფართოდ გავრცელდა. მრავალი ოჯახი წავიდა თბილისში, რესპუბლიკის სხვა რაიონებში, მის ფარგლებს გარეთაც. აი სავალალო სურათი: 1939 წელს ხევსურეთში ცხოვრობდა 805 ოჯახი ანუ 3.388 კაცი, 1978 წელს ოჯახების რაოდენობა 278-მდე შემცირდა, მოსახლეობისა — 1.166-მდე. დაცარიელდნენ სოფლები, ბევრგან კი მთლიანად ჩაქრა სიცოცხლე. ძნელია დამალო გულისტკივილი, თუ ხევსურეთს ესტუმრებით და ნასოფლარებს იხილავთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო უკანასკნელ წლებში ახორციელებენ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს მთის რეგიონების, კერძოდ, ხევსურეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მისი მიგრაციის შეწყვეტისათვის. ამ მიზნით ზედიზედ მიიღეს რამდენიმე საგულისხმო დადგენილება. მათ შორის საეტაპო იყო 1978 წლის 28 დეკემბრის დადგენილება „დუშეთის რაიონის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დადგენილებათა საფუძველზე ახდა ხევსურთა მრავალი ნატვრა. ხევსურეთის ცენტრი — სოფელი ბარისახო დაამშვენა კულტურის ახალმა სახლმა. გაიჭრა ბ ა რ ი ს ა ხ ო-დათვიჯვარ-შატილ-მუცოსჭალის საავტომობილო გზა, რეკონსტრუქციის შემდეგ ამოქმედდა ბარისახოს სასოფლო საავადმყოფო და გადაეცა ექიმებს. ბარისახოში ააშენეს ორსართულიანი ბინა, ექიმებს ბინა ასეულ ადგილზე გაუხსნეს ბიბლიოთეკა, ბინა ეკუთვნოდა ბ. ბ. ბ.

მოვლენის წინ

მოსკოვში აღლერდება ქართული მუსიკა

საბჭოთა მუსიკოსების დიდ ფორუმს — ქვეყნის კომპოზიტორთა VI ყრილობას, რომელიც 18 ნოემბერს გაიხსნება მოსკოვში, ქართველი კომპოზიტორები ახალი საინტერესო ნაწარმოებებით ეგებებიან. ყრილობის კონცერტებზე შესრულდება უკანასკნელი წლების სიმფონიური, საგუნდო და საინსტრუმენტო ნაწარმოებები, საესტრადო მუსიკა.

კონცერტების პროგრამაშია სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის გ. ყანჩელის მეოთხე სიმფონია, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ს. ნასიძის ახალი სიმფონია „პასიონი“. მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები გაეცნობიან სსრ კავშირის სახალხო არტისტის ო. თაქთაქიშვილის ახალ ქმნილებას. მის ვოკალურ-სიმფონიურ ნაწარმოებს „ქართულ ქორალებს“, რომელიც „შუშანიკის წამების“ მე-1500 წლისთავთან დაკავშირებით შეიქმნა, შეასრულებს ესტონეთის ვაჟთა გუნდი სოციალისტური შრომის გმირის გ. ერნესაქსის ხელმძღვანელობით.

მოსკოვში შესრულდება რესპუბლიკის სახალხო არტისტის დ. თორაძის „ქართული ჰანგები“, საქართველოს სახალხო არტისტის ს. ციხაძის დ. შოსტაკოვიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილი მეცხრე კვარტეტი. ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის ი. კეჭაყმაძის ნაწარმოებს „მთისაი ბარსაო“ მსმენელს გააცნობს რესპუბლიკის სახელმწიფო კაპელა გ. მუნჯიშვილის ხელმძღვანელობით.

ყრილობის დღეებში შესრულდება საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის ვ. აზარაშვილის სონატა ორი ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, ო. თევდორაძის „სადღესასწაულო უვერტიურა“ სასულე ორკესტრისათვის, აფხაზი კომპოზიტორის რ. გუმბასა და ოსი კომპოზიტორის ზ. ხაბალოვას საგუნდო ნაწარმოებები.

ფართოდ იქნება წარმოდგენილი აგრეთვე ქართული საესტრადო მუსიკა. (საქინფორმი).

□ □

ქარიშხალი დათრგუნეს

ქვეყანაში პირველი პრინციპულად ახალი კონსტრუქციის ნაპირსამაგრებელი სისტემა ააშენა აჭარის სანაპიროზე, ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა ულიანოვკის მახლობლად „ნოვოროსიისკ-ზღვამენის“ ტრესტის № 20 მეურავმა სამშენებლო რაზმმა. ხმელეთზე ზღვის შემოტევას დაუპირისპირეს გამჭიანობა, გაბედული ინჟინრული გადაწყვეტა, თანამედროვე სამშენებლო ტექნიკა.

ასაწყობი რკინა-ბეტონისაგან დამზადებულ გამჭოლ ნაპირსამაგრებელ ნაგებობათა ახალი კონსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში.

სმტკიცის პირველი გამოცდა ნაპირსამაგრებელმა კონსტრუქციამ წარმატებით ჩაიბარა. ამას წინანდელი ქარიშხლის დროს მას არ განუცდია დეფორმაცია.

ადამიანებმა დათრგუნეს ქარიშხალი, ზღვის მიერ ნაპირის ჩანთქმა აქ შეჩერებულია.

ახალი კონსტრუქციის საპროექტო თემის ხელმძღვანელმა, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა თანამრომელმა ნ. სალუქვაძემ მადლი შეფასება მისცა საზღვაო ნაგებობათა მშენებლების მუშაობას, რომლის დროსაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მყვინთავთა სადგურის უფროსმა დ. კუბლაშვილმა, მებეტონე ი. ვალიაევმა, შემდუღებელმა ს. ლუტაევმა, „ჩერნომორეც-9“ მეურავი ამწის უფროსმა მექანიკოსმა ა. მოროზოვმა და სხვებმა. (საქინფორმი).

შრომით გამოვლილი წლები

წიგნთა ლმრიცხველი

დრო-ჟამის კალენდარს იმ დღის ფურცელი მანამდე გაუგონარი ომის სისხლიანმა ხელმა ჩამოხია.

ყველფერი ფრონტისათვის! — ამ უპირველესმა საზრუნავმა მთელი ჩვენი ხალხი ფეხზე დააყენა დიდი სამამულო ომის პირველ დღესვე. გარდა თავისი სამსახურებრივი და მოქალაქეობრივი მოვალეობის პირნათლად აღსრულებისა, კიდევ რა შეიძლება გააკეთოს წიგნის პალატის ბიბლიოგრაფმა ქალმა ფრონტის, ჩვენი მებრძოლი არმიის დასახმარებლად?

და იგი, საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის ბიბლიოგრაფი ცხრაასორმოცდაერთი წლის იმ აბიდითი ივნისის ბოლო რიცხვებიდან ყოველდღე, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ ს
წერ მაგიდას უჯდა, მთელი გულისყურით კითხულობდა იმ დღის ყველა რესპუბლიკურ გაზეთს და ცალ-ცალკე ფურცლებზე იწერდა გაზეთებში ხსენებული ყველა ქართველი მეომრის გვარს, რომლებმაც ამა თუ იმ ფრონტზე თავი გამოიჩინეს გმირობითა და ვაჟკაცობით. ასე გრძელდებოდა ომის ოთხ გრძელ წელიწადს და 1945 წელს გამოჩნდა წიგნის პალატისათვის ერთი შეხედვით უჩვეულო გამოცემა, რომლის გარეკანზეც ეწერა „ქართველი მეომრები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში“. ერთ წიგნში გაერთიანდა ბიბლიოგრაფიული საძიებლის ორი ნაკვეთი, რომელიც 1941-1943 წლებს მოიცავდა. სამი წლის შემდეგ გამოქვეყნდა ომის ბოლო ორი წლის ამნუსხველი მესამე ნაკვეთი. საძიებლის ორივე წიგნი 1200 გვერდზე მეტს მოიცავს და თავისი მნიშვნელობით დიდად სცილდება ჩვეულებრივი ბიბლიოგრაფიული საძიებლის ფარგლებს. იგი ქართველი მეომრების სახელოვანი ბრძოლის მიღლვარი მატიანეა, პრესის ფურცლებზე ომის წლებში ასახული ხალხის გმირობის და შემართების გულმართალი მატიანე.

თინა ნაკაშიძის, როგორც წიგნმცოდნის გზა დაიწყო 1922 წლიდან, როცა სტუდენტმა ქალაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა.

1927 წელს ქართულ ენაზე გამოქვეყნდა ორტომიანი „ბერძნული ლიტერატურის იატორია“, მისი ავტორი ცნობილი მეცნიერი გრიგოლ წერეთელი პირველი ტომის წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, ჩემი ახალგაზრდა მეგობარი თინა ნაკაშიძე და გობრონ აგბარელი რომ არა, ეს ნაშრომი, ქართულ ენაზე ვერ გამოვიდოდაო. რუსეთში დიდხანს ნაცხოვრებმა და განათლებამიღებულმა მეცნიერმა სუსტად იცოდა ქართული ენა და მისი ნაშრომი სწორედ ამ ორმა სტუდენტმა თარგმნა ქართულად.

თინა ნაკაშიძეს შრომის, ადამიანის, წიგნის სიყვარულის ცხოველი გრძნობა ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს მშობლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა და ლიტერატორებმა ერმილე და იტა ნაკაშიძეებმა. გამოჩენილი მწერალი და ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორი ნინო ნაკაშიძე თავის მოგონებებში წერდა: „იტა ნაკაშიძე პირველი იყო იმ დროს, რომელმაც ჩვენი ჟურნალის მკითხველს გააცნო ჩაის მოყვანა. მანვე დაწერა მშვენიერი მხატვრული ნარკვევები ბუნების მოვლენებზე“.

თავისი უზადო ბიბლიოგრაფიული ოსტატობა თინა ნაკაშიძემ ჯერ კიდევ 1936 წელს გამოავლინა, როცა მას „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნსაცავის ბიბლიოგრაფიული აღწერა მიანდეს. ამ წიგნსაცავის აღწერა დაედო საფუძვლად ფუნდამენტური ბიბლიოგრაფიის „ქართული წიგნის“ პირველ ტომს, რომელიც 1941 წელს გამოვიდა. გარდა ზემოხსენებული საცავისა თ. ნაკაშიძემ და მისმა კოლეგებმა შეისწავლეს ჩვენი ქვეყნის თვრამეტი მსხვილი ბიბლიოთეკა, სადაც რევოლუციამდელი ქართული გამოცემებია დაცული. ბიბლიოგრაფიის პირველ ტომში და შემდეგ ცალკე წიგნად გამოსულ ამ ტომის დამატებაში, რომელიც მთლიანად თ. ნაკაშიძემ შეადგინა, აღწერილია 1629 წლიდან 1921 წლამდე გამოსული წიგნები. ქართული წიგნის სამ ნაკვეთად გამოცემული მეორე ტომი 1921-1945 წლების წიგნებს აღრიცხავს, ხოლო მესამე ტომი — 1946-1950 წლებისას. შედგენილი და გამოსაცემად მომზადებული 1951-1955 წლების წიგნთა აღმნუსხველი მეოთხე ტომიც. ამ ტომებს თავის კოლეგებთან ერთად ფასდაუდებელი ამაგი დასდო თინა ნაკაშიძემ.

მრავალი წლის მუშაობის შედეგად თ. ნაკაშიძემ ნ. კორძაიასთან ერთად შეადგინა და 1968 წელს გამოსცა „ილია ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფია“, ქართული ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო შენაძენი. დიდი სიყვარულითა და ცოდნით არის შედგენილი ბიბლიოგრაფიები ბაჟა-ფშაველაზე, სომხურ ხალხურ ეპოსზე „დავთარ სასულნელზე“ და სხვ.

ჭეშმარიტად უნიკალური ბიბლიოთეკა შექმნა საქართველოს სახალხო პოეტმა აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა. და პოეტის იმ ანდერძში, რომლითაც იგი ამ ბიბლიოთეკას თავის ხალხს უტოვებდა, იყო ასეთი თხოვნაც: მისი ბიბლიოგრაფიული აღწერა ცნობილ ბიბლიოგრაფ თამარ მაჭავარიანთან ერთად თინა ნაკაშიძეს მოეხდინა. და აი, წიგნმცოდნეებმა და წიგნით დაინტერესებული საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა დიდი ინტერესით მიიღეს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის ქართული კოლექციის აღწერილობის პირველი ტომი, „მეცნიერება“ ახლო ხანში მეორე ტომსაც გამოსცემს.

თინა ნაკაშიძე ამავე გამომცემლობის ცნობილი ბიბლიოგრაფიული სერიის „ქართველი მეცნიერების“ ბიბლიოგრაფიული რედაქტორია. იგი ამავე დროს მუშაობს პარიზში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა კ. და ნ. სალიების მიერ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის სანუკვარად გადმოცემულ ფასდაუდებელი ფონდის — ევროპულ ენებზე გამოცემული 2800 წიგნის ბიბლიოგრაფიულ აღწერაზე. ადგენს აგრეთვე გალაკტიონ ტაბიძის ბიბლიოგრაფიას.

ოცდაწლამოსილ ბიბლიოგრაფს მთელი ჩვენი ქვეყნის წიგნმცოდნეები იცნობენ და დიდადაც აფასებენ. მისი სტატიები ქვეყნდება ჟურნალ „სოვეტსკაია ბიბლიოგრაფიაში“, მის მდიდარ გამოცდილებას იცნობიან საკავშირო სემინარებსა და თათბირებზე.

მე ყოველდღე ვხვდები ქალბატონ თინას. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო პალატის მთავარი ბიბლიოგრაფი უკვე ორმოცდაორი წელია ყოველ დილას მადლიანი ღიმილითა და შთაგონებით აღსავსე თვალებით ამოდის ოიბეებზე, მთელ დღეს დიდი სიყვარულით დასტრიალებს წიგნებს. თავის მდიდარ გამოცდილებას, ჩვენი დედაენის, ჩვენი დედაწიგნის სიყვარულს გადასცემს თავის ახალგაზრდა კოლეგებს.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი.

ფეხბურთი

ორი მატჩი

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 32-ე ტურის ბოლო ორი მატჩი. ამ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო“ (მოსკოვი) — „ნეფთჩი“ 3:0, „ტორპედო“ — ასკ 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 32-ე ტურის შემდეგ

	მ	ფ	წ	ბ	ქ
„სპარტაკი“	20	9	3	62-22	48
„დინამო“ (კ)	21	5	6	51-24	47
„შახტიორი“	18	8	6	52-31	44
„დინამო“ (თბ)	17	12	3	50-26	42
„დინამო“ (მ)	16	9	7	38-28	40
„დინამო“ (მნ)	14	6	12	45-33	34
ცსკა	12	8	12	43-40	32
„ზენიტი“	11	8	13	40-43	30
„არარატი“	11	12	9	39-30	30
„ფახთაქორი“	10	9	13	39-51	28
„ჩერნომორეცი“	9	10	13	28-35	26
„ლოკომოტივი“	8	11	13	42-53	24
„ტორპედო“	8	9	15	30-40	24
ასკ	7	14	11	34-47	22
„ყაირათი“	7	8	17	26-42	22
„ნეფთჩი“	7	8	17	25-48	22
„კრ. ხოვეტოვი“	7	4	21	23-56	18
„ზარია“	5	10	17	36-59	18

თამაშობს „ჰამბურგი“

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ ამასწინანდელმა მეტოქემ „ჰამბურგმა“ დიდი ანგარიშით (4:0) დაამარცხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატის ლიდერი დორტმუნდის „ბორუსია“ და პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

ჭადრაკი

ბოლო ტურის წინ

ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში გაიმართა მოჭადრაკე ქალთა მეორე საზონათშორისო ტურნირის მეთექვსმეტე ტურის პარტიები. ლემაჩკომ (ბულგარეთი) დაამარცხა ნინო გურიელი, ლატინსკაიამ — პროკოპოვიჩი (იუგოსლავია), ახმილოვსკაიამ — ივანკა (უნგრეთი).

ბოლო ტურის წინ ლიდერობენ ლემაჩკო და ახმილოვსკაია — 13-13 ქულა. ლატინსკაია 11,5 ქულით მესამე ადგილზეა, გურიელი კი 11 ქულით — მეოთხეზე.

გუშინ დამთავრდა გადადებული პარტიები. დღეს გაიმართება ბოლო, მეჩვიდმეტე ტურის შეხვედრები. გურიელი შეხვდება გარსიას (კოლუმბია), ლატინსკაია — ივანკას, ხოლო ახმილოვსკაია — ლემაჩკოს. როგორც არ უნდა დამთავრდეს ახმილოვსკაიასა და ლემაჩკოს შეხვედრა, მათ უკვე განაღდებული აქვთ პრეტენდენტთა მატჩებში მონაწილეობის საგზურები. ბოლო ტურიც და, მესამე საგზურის მფლობელის ვინაობაც გაირკვევა.

ტილბურგის ტურნირზე

ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. მერვე ტურის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობენ ოთხნი. მათ შორის არიან საბჭოთა მოჭადრაკეები — მსოფლიოს ჩემპიონი ანატოლი კარპოვი და ოლეგ რომანიშინი — 5-5 ქულა.

მერვე ტურში კარპოვმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა სპასკისთან, რომანიშინმა კი დანიელ ბენტ ლარსენთან. სპასკის 4,5 ქულა აქვს.

მოსწავლეთა მორის

ბათუმში დამთავრდა საქართველოს ღია ჩემპიონატი მოჭადრაკე მოსწავლეთა შორის. გოგონებში უძლიერესის სახელი მოიპოვა ქუთაისელმა თამილა მესხმა. მან ტურნირი დაუმარცხებლად განვლო. მეორე ადგილზე გავიდა მოსკოველი იულია ოვჩინიკოვა, მესამეზე — თბილისელი ნინა მუსერიძე. ჭაბუკთა შორის პირველობა მოიპოვა მოსკოველმა იური დახოიანმა. მეორე-მესამე ადგილები გაიხსნელეს ზუგდიდელმა ბოჩა თორიამ და ქუთაისელმა ზაზა ლომინაძემ.

ძალოსნობა

ყველას აჯობებს

საბერძნეთის ქალაქ სალონიკში დამთავრდა ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი. ასპარეზობის მიზეზურულს კიდევ ერთი, მეექვსე ოქროს მედალი მოიპოვეს საბჭოთა ძალოსნებმა. ეს ჯილდო მიიღო უმძიმესი წონის დნეპროპეტროვსკელმა ათლეტმა სულთან რახმანოვმა. მან ორჭიდში 430 კილოგრამამ დააგროვა.

გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის ნაკრებმა ყველას აჯობა და 286 ქულით პირველობა მოიპოვა. მეორე ადგილზე გავიდნენ ბულგარელები — 210, მესამეზე — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები — 171 ქულა.

ვ. ტატიშვილი



ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვლადიმერ ივანეს ძე **ტატიშვილი** — უნუცესი ქართველი მწერალი.

ვ. ტატიშვილი დაბადა 1899 წელს ქალაქ ბაქოში. განათლება ბაქოსა და თბილისის უნივერსიტეტებში მიიღო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე ვ. ტატიშვილი აქტიურად მონაწილეობს შემოქმედებითს ცხოვრებაში. იგი როგორც პოეტი და პუბლიცისტი თანამშრომლობს საქკავროსტას ლიტერატურულ ორგანიზაციასა და საქართველოს პოლიტგანათლებაში, ლექსებს, მოთხრობებს და ნარკვევებს ბეჭდავს გაზეთებში — „ბაკინსკი რაბოჩი“ და „ზარია ვოსტოკა“.

ვ. ტატიშვილს იცნობდნენ და აფასებდნენ მოსკოველი და ლენინგრადელი მწერლები, მისი ნარკვევი „მოკრეგორიე“ მოიწონა მაქსიმ გორკიმ.

დიდი სამამულო ომის პირველ თვეებში ვ. ტატიშვილი ებმება მოსკოვის ოლქის რაიონული გაზეთის „ისტრინსკაია სტროიკის“ მუშაობაში. თბილისში დაბრუნების შემდეგ იგი აქტიურად მუშაობს საქართველოს მწერალთა კავშირის აპარატში. საქართველოს რამდენიმე რაიონულ თეატრში ამ დროს დაიდგა მისი პატრიოტული პიესა „ომში წასვლა მინდა“. ამავე დროს იგი მუშაობას იწყებს „ლიტერატურნაია გაზეტას“ კორესპონდენტად. საქართველოს მწერალთა კავშირის რუსული სექციის შექმნამდე ტატიშვილი რუს ავტორებთან მუშაობის კომისიის თავმჯდომარე და ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიის“ შექმნის ერთ-ერთი ინიციატორია.

ვ. ტატიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მის ცნობილ ისტორიულ ნარკვევს „[illegible] თქვენ მოსკოვნ[illegible] [illegible] ომის შემ[illegible] [illegible] ამ წიგ[illegible] [illegible] ორი ქანონ — მიც[illegible] ერული და მხატ[illegible] ლი — ვ. ტატიშვილ[illegible] სამოუშაოთა თემის [illegible] ხედვით წინამორბე[illegible] [illegible] ალ[illegible] [illegible] ბა, არამედ ქმნის ორიგინალ[illegible] ნაშრომს და გვთავაზობს რუს[illegible] საქართველოს ურთიერთობის [illegible] ნამდე ხელუხლებელ წყაროებ[illegible] დღიურებს, წერილებს, მოგ[illegible] არჩილ მეფის მანამდე უცნ[illegible] რუსული ლექსები, ადგენს [illegible] ქოვში ქართველთა კოლონიის [illegible] ქმნის ზუსტ თარიღს. წიგნმა [illegible] ოველები მოსკოვში“ ხელი შ[illegible] წყო რუსეთ-საქართველოს [illegible] ვალსაუკუნოვანი მეგობრ[illegible] ტრადიციათა კვლევისა და გ[illegible] ტაციების საქმეს, ახალი შესა[illegible] ნაი ღვაწლი დასდო ამ მეგ[illegible] რობის გამდიდრებასა და გან[illegible] თარებას.

ისტორიულ რომანს „აბო თ[illegible] ელელს“, რომელიც მწერალმა [illegible] შემდეგ შექმნა, საფუძვლად დ[illegible] დო იოანე საბანისძის „აბოს ს[illegible] მება“.

სსრ კავშირის მწერალთა კავ[illegible] რის წევრი ვ. ტატიშვილი [illegible] დაარსებიდან ნახევარ საუკუნ[illegible] მეტი ხნის განმავლობაში თ[illegible] ნაწარმოებებში მკაფიოდ ასახ[illegible] საქართველოს ისტორიას, მის ყ[illegible] ფას, ბუნებას, და რაც მთავარი[illegible] მის გმირთა მოღვაწეობას სხვ[illegible] სხვა ისტორიულ ეტაპზე.

ვ. ტატიშვილის ნათელი ხსო[illegible] მარად დარჩება მწერლებისა [illegible] მკითხველების, მისი კოლეგებ[illegible] და მეგობრების გულში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

რედაქტორი გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი



აცხადებს მიღებას უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელთა 1-თვიან მოსამზადებელ კურსებზე.

მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 1 დეკემბერს.

კურსები იმუშავებს სამეურნეო ანგარიშზე. მოსამზადებელ კურსებზე ჩასარიცხად უნდა წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე და ცნობა სამუშაო ადგილიდან.

განცხადებები მიიღება 20 ნოემბრიდან ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-დან 4 საათამდე, ოთახი № 253.

ინსტიტუტის მისამართი: **თბილისი, დიღომი, სამხედრო გზის მე-18 კმ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.** ავტობუსი: № 54 — მეტროს სადგურ „დიღუბლიდან“ და № 27 უცხო ენების ინსტიტუტიდან სამეურნეოს გაივლით.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ყველა ტიპის თვითმფრინავები, ნებისმიერი მიმართულებით შეუფერხებლად დაფრინავენ განრიგით.

გიწვევთ საფრენად!

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ტელეფონით 99-92-81.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საპაერო მიმოსვლის ცენტრალური სააგენტო.

ტელევიზია

13 ნოემბერი

პირველი პროგრამა: 09.10 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — ფილის ვარჯიში (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — ფულგიპლიკაციური ფილმები, 18.35 — „საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის ყრილობის შესახებ ვერაგ“ (ფ.), 19.15 — „საქართველო იზმირის ბაზრობაზე“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20 30 — „თეატრის სიცოცხლე“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — რ. შუმანის „კარნავალი“. ასრულებს ელისო ვირსალაძე (ფ.).

მეორე პროგრამა: 16.05 — რუსული სკოლის მოსწავლეთათვის — ფიზიკა (ფ.), 16.35 — განცხადებები (ფ.), 16.40 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბიჭები ოცნებობენ“, 17.35 — მუსიკალური შესვენება, 17.40 — მასწავლებლის საათი — ქართული ლიტერატურა (ფ.), 18.25 — ფულგიპლიკაციური ფილმები, 18.55 — მხატვრული ფილმი — „დაბადება“ (მეორე სერია).

თელევიზია

13 ნოემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სვეტლიანელ დასაქმ (26-ე აბონ. მე-5 წარმ.); ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — ფილარმონიის სიმფონიური კოლექტივების დათვალიერება. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „არაგვი“ და „ანგარ“; კონსერვატორიის დიდი დარბაზი — — რსფსრ სახალხო არტისტის ზარა დოლუხანოვას კონცერტი.



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

16 ნოემბერს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე

თბილისის „დინამო“ — კიევის „დინამო“

ძირითადი შემადგენლობა

დასაწყისი 19 საათზე.

ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 14 და 15 ნოემბერს 10 საათიდან. საერთო გაყიდვა — 16 ნოემბერს 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის № 1 — № 16 სალაროებში; № 7 სალაროში გაიყიდება ბილეთები დეპუტატებისათვის, ლაურეატებისათვის, სამამულო ომის გმირებისა და ინვალიდებისათვის.

საათადარიგო შემადგენლობების თამაში გაიმართება „ლოკომოტივის“ სტადიონზე 15 ნოემბერს. დასაწყისი 18 საათზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დოცენტი

ჯიმშერ იოსების ძე გუგელაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საბავშვო ფილმების საფესტივალო ეკრანი

„თბილისური განთიადი“ — ასე ეწოდებოდა ნორჩ კინომოყვარულთა სტუდიების საკავშირო ფესტივალს, რომელიც თბილისში გაიმართა და ბავშვის საერთაშორისო წელს მიეძღვნა. ამ შემოქმედებითს დათვალიერებაში, რომელიც მიმდინარეობდა დევიზით: „ბედნიერი ბავშვობა“, მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის 50 ქალაქის კინომოყვარულნი, უნგრეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ფინეთიდან, ავსტრიიდან ჩამოსული სტუმრები.

ფესტივალის ჟიურიმ, რომელსაც რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი რეჟისორი ი. ჩხაიძე ხელმძღვანელობდა, დაასახელა გამარჯვებულნი.

ფესტივალის მთავარი პრიზი მიენიჭა ქალაქ კურგანის ნორჩ კინომოყვარულთა სტუდიას ფილმისათვის „პიონერული ზაფხულის სურათები“.

ფესტივალის დღეებში რესპუბლიკის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სტუდიას „პიონერფილმს“ 20 წელი შეუსრულდა. დათვალიერების მასპინძელმა — ნორჩმა თბილისელმა კინომოყვარულებმა თავიანთი პედაგოგების გ. ჩიგოგიძისა და ს. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს უჩვენეს უკანასკნელ წლებში შექმნილი ფილმები. ფესტივალის მომზადებისა და მოწყობისათვის და დაარსების მე-20 წლისთავთან დაკავშირებით „პიონერფილმს“ გადაეცა რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის პრიზი. სტუდია დაჯილდოდა აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კინომოყვარულთა საბჭოს საპატიო დიპლომით. (საქინფორმი).



ეს ეწოდება ახალ კინოსურათს, რომელსაც ლენინის ორდენოსან კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ იღებენ.

ქართველ კინემატოგრაფისტთა ახალი ფერადი ფილმი (სცენარის ავტორი ლეონა ბერეშვილი) მოგვითხრობს სოფელელ გოგონა მაყვალაზე, რომელიც რაიონში სწავლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელს უბრუნდება, აქტიურ პროპაგანდას უწევს კარგ გემოვნებას, ახალ, მოდურ ტანსაცმელს.

დადგმის მხატვრული ხელმძღვანელია გიორგი შენგელაია, რეჟისორი — მიხეილ ჭიაურელი, დამდგმელი ოპერატორი — ჭიმშერ ქრისტესაშვილი, დამდგმელი მხატვარი — გოგი მიქელაძე, კომპოზიტორი — სოსო ბარდანაშვილი. ახალ ფილმზე მუშაობა წლის ბოლოსათვის დამთავრდება. ფილმში მაყურებელი იხილავს საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტებს კახი კავსაძეს, ბერტა ხაფავას, გივი ბერიკაშვილს, მსახიობებს დარეჯან ხარაძეს, ამირან ამირანაშვილს, ტრისტან სალარიძესა და სხვებს.

სურათებზე: კადრი ფილმიდან: კოლასა და ანას როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები კახი კავსაძე და ბერტა ხაფავა; დადგმის მხატვრული ხელმძღვანელი გიორგი შენგელაია ახალი ფილმის „გოგონა საკერავი მანქანით“ გადაღების დროს.

გ. ნასუცრიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

იღებენ ახალ ფილმს

„გოგონა საკერავი მანქანით“

შეხვედრები ესპანეთში

„კომუნისტის“ კორესპონდენტს ინტერვიუს აძლევს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი

ესპანეთის ტელევიზიით წელიწადში ერთხელ ეწყობა გადაცემა „მუსიკა დღეს“. მასში მონაწილეობენ როგორც ცნობილი ესპანელი მუსიკოს-შემსრულებლები და კომპოზიტორები, ის სტუმრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. წელს საბჭოთა კავშირიდან ამ გადაცემაში მონაწილეობისათვის მიწვეული იყო სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი, რომელსაც ჩვენი გაზეთის სპეციალურმა კორესპონდენტმა მერი ტორაძემ ინტერვიუ სთხოვა. აი, რა თქვა მან:

— ესპანეთის ტელევიზიის გადაცემა „მუსიკა დღეს“ ფართოდ განიხილავს თანამედროვე მუსიკის პრობლემებს. ორსაათ-ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობს პოლემიკა მუსიკის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე. ამ გადაცემაში მე თავისებური ოპონენტის როლი დამეკისრა, რამდენადაც დისკუსიის დანარჩენი მონაწილენი ჩვენთვის უცხო იდეურ-ესთეტიკურ პოზიციებზე მდგომი მუსიკოსები იყვნენ. დისკუსიის თემატიკური დიაპაზონი ერთობ ვრცელი იყო და მოიცავდა როგორც ზოგად-ესთეტიკური პლანის პრობლემატიკას (მუსიკალური ენის, სტილის, ტექნოლოგიის, მუსიკალური ხელოვნების დანიშნულებისა და მისი განვითარების პერსპექტივების საკითხები), ისე უფრო ვიწრო და კონკრეტული ხასიათის მოცანებს, რომლებიც ამჟამად დგას ესპანეთის მუსიკალური პედაგოგიკის, სასწავლო დაწესებულებებისა და საკონცერტო ორგანიზაციების წინაშე. კერძოდ, მწვავედ დგას ახალგაზრდა შემსრულებელთა საკონცერტო პრაქტიკის, ახალი ნაწარმოებების პოპულარიზაციის, აგრეთვე სასწავლო პროცესის დაყენების საკითხები. ფრანკოს რეჟიმის დროს მუსიკას არ ექცეოდა დიდი ყურადღება, ამიტომ ესპანელ მუსიკოსებს ძირითადად საზღვარგარეთ უხდებოდათ განათლების მიღებაც და მოღვაწეობაც.

მუსიკალური განათლების სისტემის ხარვეზები გარკვეულად შეიძლება აიხსნას რეალურად მოქმედი მუსიკალური